პრეზიდენტი
დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი

მართალნი რწმენით იცხოვრებენ

რაბი და საპნის დამამზადებელი

არსებობს ძველი ებრაული იგავი საპნის დამამზადებელზე, რომელსაც არ სწამდა ღმერთი. ერთხელ, როდესაც იგი რაბისთან ერთად მიდიოდა, მან თქვა: „არის ისეთი რამ, რაც არ მესმის. ჩვენ ათასობით წლების განმავლობაში გვქონდა რელიგია. მაგრამ სადაც არ გაიხედები ხედავ ბოროტებას, ქრთამს, უპატიოსნებას, უსამართლობას, ტკივილს, შიმშილსა და ძალადობას. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ რელიგიას სამყარო უკეთესობისკენ არ შეუცვლია. ასე რომ, გეკითხებით: რა სიკეთე მოაქვს მას“?

რაბიმ ჯერ არაფერი არ უპასუხა, თუმცა საპნის დამამზადებელთან ერთად გზა გააგრძელა. როგორც იქნა ისინი მიუახლოვდნენ ადგილს, სადაც მტვერში ამოსვრილი ბავშვები მიწაზე თამაშობდნენ.

„რაღაც არ მესმის“, - თქვა რაბიმ. „შეხედე ამ ბავშვებს. ათასობით წლების განმავლობაში ჩვენ საპონი გვაქვს, მაგრამ ეს ბავშვები ჭუჭყიანნი არიან. რა სიკეთე მოაქვს საპონს“?

საპნის დამამზადებელმა უპასუხა: „რაბი, უსამართლოა საპონს დააბრალო ის, რომ ეს ბავშვები ჭუჭყიანნი არიან. საპონმა რომ თავისი დანიშნულება შეასრულოს იგი უნდა გამოიყენო“.

რაბიმ გაიღიმა და თქვა: „მართალია“.

როგორ უნდა ვიცხოვროთ?

პავლე მოციქულმა, მოჰყავდა რა წინასწარმეტყველების სიტყვები ძველი აღთქმიდან, შეაჯამა, რას ნიშნავს იყო მორწმუნე, როცა მან დაწერა ასეთი სიტყვები: „“მართალი იცოცხლებს რწმენით“ (რომაელთა 1:17).

შესაძლოა ამ მარტივ წინადადებაში ჩვენ ვხედავთ სხვაობას ერთი მხრივ სუსტ და არაეფექტურ და მეორე მხრივ ისეთ რელიგიას შორის, რომელსაც შეუძლია ცხოვრების გარდაქმნა.

მაგრამ იმისთვის, რომ გავიგოთ, რას ნიშნავს იცხოვრო რწმენით, ჩვენ უნდა გავიგოთ, რას ნიშნავს რწმენა.

რწმენა მრწამსზე მეტია. რწმენა ნიშნავს სრულ ნდობას ღმერთის მიმართ, რომელსაც მოჰყვება მოქმედება.

იგი სურვილზე მეტია.

ეს იმაზე მეტია, ვიდრე სკამზე კომფორტულად ჯდომა, თავის დაკვრა და დათანხმება. როცა ვამბობთ, რომ „მართალნი *იცხოვრებენ რწმენით,*“ ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ღწმენა მიგვიძღვის წინ. ჩვენ *ვმოქმედებთ* რწმენის შესაბამისად და არა უაზრო მორჩილების გამო; ღმერთის მიმართ მყარი, გულწრფელი სიყვარულის გამო და ფასდაუდებელი სიბრძნის გამო, რომელიც მან გაუმხილა თავის შვილებს.

რწმენას უნდა მოყვებოდეს მოქმედება; თუ არა და იგი ცოცხალი არ არის (იხ. იაკობი 2:17). ეს ნიშნავს სისუსტეებისა და ნაკლის მიღებას. მას არ აქვს ძალა შეცვალოს ცალკეული ინდივიდიც კი და არა მთელი სამყარო.

რწმენის ადამიანები ენდობიან მამაზეციერს, მაშინაც კი, როცა გაურკვევლობაში არიან, ეჭვობენ ან სირთულეების წინაშე დგებიან, სადაც კარგად ვერ ხედავენ და არ იციან, რა ხდება.

რწმენის ადამიანები ბეჯითად მოაბიჯებენ მოწაფეობის გზაზე და ცდილობენ, მიჰყვნენ თავიანთი საყვარელი მხსენლის, იესო ქრისტეს, მაგალითს. რწმენა გვამოძრავებს და ჭეშმარიტად შთაგვაგონებს, ზეცისკენ მივმართოთ გული და აქტიურად მივწვდეთ ჩვენს მოყვასს, ავამაღლოთ და დავლოცოთ იგი.

რელიგია მოქმედების გარეშე ჰგავს ყუთში ჩადებულ საპონს. შესაძლოა ჰქონდეს საოცარი პოტენციალი, მაგრამ რეალობაში დიდ სხვაობას ვერ მოახდენს, თუკი არ შეასრულებს თავის დანიშნულებას. იესო ქრისტეს აღდგენილი სახარება მოქმედების სახარებაა. იესო ქრისტეს ეკლესია გვასწავლის ჭეშმარიტ რელიგიას, როგორც იმედის, რწმენისა და მოწყალების გზავნილს, ასევე სხვების დახმარებას მათ სულიერ და მიწიერ ცხოვრებაში.

რამდენიმე თვის წინ მე და ჩემი მეუღლე, ჰარიეტი, ჩვენს რამდენიმე შვილთან ერთად ვიყავით ხმელთაშუა ზღვაზე. ჩვენ ვეწვიეთ დევნილთა რამდენიმე ბანაკს და შევხვდით ომით გახლეჩილი ქვეყნებიდან გამოქცეულ ოჯახებს. ეს ადამიანები არ იყვნენ ჩვენი რწმენის, მაგრამ ისინი ჩვენი დები და ძმები არიან და მათ სასწრაფოდ სჭირდებოდათ ჩვენი დახმარება. როცა ვიხილეთ, როგორ მოაქვთ ეკლესიის ერთგულ წევრებს გაჭირვებაში მყოფ დებისა და ძმებისთვის დახმარება, იმედი და შვება, მათი რელიგიის, ეროვნებისა ან განათლების მიუხედავად - ეს გულზე ძალზედ შეგვეხო.

რწმენა და მასთან შეუღლებული თანმიმდევრული მოქმედება ავსებს გულს სიკეთით, გონებას - სიბრძნითა და გაგებით, სულს კი სიმშვიდით და სიყვარულით.

ჩვენს რწმენას შეუძლია დალოცოს და მოახდინოს სამართლიანი გავლენა ჩვენზეც და ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებზეც.

ჩვენს რწმენას შეუძლია აავსოს სამყარო სიკეთითა და სიმშვიდით.

ჩვენს რწმენას შეუძლია სიძულვილი აქციოს სიყვარულად, მტერი კი- მეგობრად.

მაშასადამე, მართალნი ცხოვრობენ რწმენით მოქმედებაში; ისინი ცხოვრობენ ღმერთის ნდობაში და მის გზაზე დადიან.

და ეს არის ისეთი რწმენა, რომელსაც შეუძლია ინდივიდის, ოჯახის, ერისა და მთელი სამყაროს შეცვლა.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტი უხთდორფი გვიხსნის, რომ რწმენა მრწამსის გამოხატვაზე მეტს ნიშნავს. მამაზეციერისა და იესო ქრისტეს მიმართ ჭეშმარიტი რწმენა მოითხოვს მოქმედებას, რწმენით ცხოვრებას კი აქვს ოჯახებისა და ადამიანების ცხოვრების გარდაქმნის ძალა. შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, ვისაც ასწავლით, გაგიზიარონ მომენტები, როცა იხილეს რწმენით ცხოვრების გამო მიღებული კურთხევები და ძალა, თავიანთი ან თუნდაც სხვისი ცხოვრებიდან. შეაგულიანეთ ისინი ილოცონ, რათა გაიგონ, როგორ იცხოვრონ უკეთ სახარებით.

ახალგაზრდები

სხვებისთის მსახურება რწმენაში

პრეზიდენტი უხთდორფი გვეუბნება, რომ ჩვენს რწმენას ღმერთის მიმართ *უნდა* „მოჰყვებოდეს მოქმედება“. როცა ჩვენი რწმენა „თანმიმდევრულ მოქმედებასთანაა შეუღლებული, იგი „აღავსებს. . . სულს სიმშვიდითა და სიყვარულით“. დალოცვის ამ დაპირებას *შეუძლია* ბევრი რამ შეცვალოს და ჩვენ ამას დავინახავთ ჩვენს ცხოვრებაში, თუ არ დავიზარებთ და რწმენით აღვსილნი ვემსახურებით სხვებს. შეგიძლიათ ილოცოთ ყოველ დილით და სთხოვოთ უფალს დახმარება სხვების მსახურების საქმეში. მაგალითად, სთხოვეთ მას გიჩვენოთ, როდის სჭირდება თქვენს დედმამიშვილს დახმარება საოჯახო საქმეში ან მეგობარს - შექება. და როცა მიიღებთ შთაგონებას, იმოქმედეთ! თუ ასე ლოცვას და მსახურებას ჩვეულებად აქცევთ, მაშინ თქვენი ერთგული, თანმიმდევრული მოქმედება დალოცავს თქვენს ცხოვრებას და ასევე სხვებისაც. პრეზიდენტი უხთდორფი გვპირდება, რომ შეგვიძლია „ ინდივიდის, ოჯახის, ერისა და მთელი სამყაროს შეცვლა“.

ბავშვები

ნდობა

Ცადეთ ამ ღონისძიების ჩატარება მეგობართან ერთად. უნდა ენდოთ მას და ზუსტად მიჰყვეთ მითითებებს.

აიღეთ სუფთა ფურცელი და დახატეთ წრე, რომელიც სახეს წარმოადგენს. კალმით ან ფანქრით ხელში დახუჭეთ თვალები. ენდეთ მეგობარს, როცა ის გეტყვით სად უნდა დახატოთ თვალები, ცხვირი, პირი, თმა. შემდეგ შეხედეთ. რა გამოგივიდათ? შეგიძლიათ გააფერადოთ ეს სახე და ახალი დახატოთ.

ზოგჯერ ძნელია მიჰყვე მითითებებს. მაგრამ როცა ვცდილობთ მივყვეთ მამაზეციერს სულიწმინდის მოსმენით, იგი დაგვეხმარება. ჩვენ შეგვიძლია ყოველთვის ვენდოთ მას.

© 2017 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *First Presidency Message, April 2017.* Georgian. 97924 131

მღვდლობის ფიცი და აღთქმა

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ მოამზადებს მოწყალების საზოგადოების მიზნის გააზრება ღვთის ასულთ, მარადიული ცხოვრების დალოცვებისთვის?

რაც უფრო მეტად გავიგებთ ჩვენ, დები, იმას, როგორ გვეხება მღვდლობის ფიცი და აღთქმა, მით უფრო მივიღებთ მღვდლობის დალოცვებსა და დაპირებებს.

უხუცესი რასელ ბალარდი თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან ამბობს: „ყველას, ვინც წმინდა აღთქმა დადო უფალთან და ვინც პატივს სცემს ამ აღთქმებს, უფლება აქვს მიიღოს პირადი გამოცხადება, იყოს დალოცვილი ანგელოზთა მსახურებით, ესაუბროს ღმერთს, მიიღოს სახარების სისრულე და ბოლოს, იესო ქრისტესთან ერთად გახდეს მემკვიდრე ყოველივე იმისა, რაც ჩვენს მამას გააჩნია“.[1]

მღვდლობის ფიცისა და აღთქმის დაპირება და კურთხევები ეხება როგორც კაცებს, ისევე ქალებს. და შერი ლ. დიუ, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტობის ყოფილი მრჩეველი, ამბობს: „სახარების სისავსე, რაც უფლის სახლის უზენაეს წეს-ჩვეულებებში მოიპოვება, შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ერთობლივად, მამაკაცისა და ქალის მიერ“[2]

და ლინდა კ. ბერტონი, მოწყალების საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა, მოგვიწოდა: „გიწვევთ, დაიზეპიროთ მღვდლობის ფიცი და აღთქმა, რომელსაც ნახავთ მოძღვრება და აღთქმების 84:33-44. როცა ასე მოიქცევით გპირდებით, რომ სულიწმინდა გაზრდის მღვდლობის თქვენს წვდომას და საოცრად შთაგაგონებთ და აგამაღლებთ“.[3]

ჯოზეფ სმითის რჩევა-დარიგება მოწყალების საზოგადოების მიმართ გათვლილი იყო იმაზე, რომ ქალები „აითვისებდნენ მღვდლობის უპირატესობებს, კურთხევებსა და ძღვენს“. ეს შეიძლება აღსრულდეს სატაძრო წეს-ჩვეულებათა მეშვეობით.

„სატაძრო წეს-ჩვეულებები მღვდლობის წეს-ჩვეულებებია, მაგრამ ისინი არ უბოძებს ქალს ან მამაკაცს საეკლესიო წოდებას. [ეს წეს-ჩვეულებები აღასრულებს] უფლის დაპირებას, რომ ადამიანები - ქალები და მამაკაცები, ‘შემოსილნი იქნებიან ზე-ძალით’ [მოძღვრება და ართქმები 38:32]“.[4]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან და ინფორმაცია

მოძღვრება და აღთქმები 84:19-40; 121:45-46;

reliefsociety.lds.org

შენიშვნები

1. მ. რასელ ბალარდი, “Men and Women and Priesthood Power,” *Liahona,* სექტ. 2014, 36
2. Sheri L. Dew, in Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society (2011), 128.
3. ლინდა კ. ბერტონი, “Priesthood Power—Available to All,” *Ensign*, ივნისი 2014, 39-40.
4. სახარების თემები, “ჯოზეფ სმითის სწავლებანი მღვდლობის, თაძრისა და ქალების შესახებ“, topics.lds.org.

განიხილეთ შემდეგი

რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისთვის, რომ უფრო სრულად გაიგოთ და მიწვდეთ მღვდლობის ფიცსა და აღთქმას?

© 2017 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *Visiting Teaching Message, April 2017.* Georgian. 97924 131